# საექსპერტო დასკვნა

**IV** კლასს დაქვემდებარებული, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის დოკუმენტაციის არქიტექტურული ნაწილების, ტექნიკურ რეგლამენტთან –„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ შესაბამისობაზე.
დამკვეთი – თ. კბილაშვილი.
ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, ჭყონდიდელის ქუჩა №22 (ს/კ 01.12.12.024.195).
პროექტის შემსრულებელი **შპს „ბინექს“**.
დირექტორი – თ. კბილაშვილი.
მთავარი არქიტექტორი – გივი გოგრიჭიანი.
თანაავტორი – მ. სომხიშვილი.
ინსპექტორი – არქიტექტორი ქ. მაისურაძე.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან –„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) **მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის** მიხედვით.

## შენიშვნები:

**1.** საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის „საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ,

სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.
**2.** საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.
**3.** საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

## დაგეგმარების საფუძველი და მიზანი:

პროექტის მიზანს წარმოადგენს არქიტექტურის სამსახურის მიერ დამტკიცებული "განაშენიანების რეგულირების გეგმის , (ბრძანება #115(#1850703 ) : საცხოვრებელი კომპლექსის: სრულყოფას--მესამე საცხოვრებელი კორპუსის განხორციელებას, თანამედროვე გეგმარებიი პრინციპებისა და შენობა ნაგე ობობების ნორმების გამოყენებით/

## მიწის ნაკვეთის მდებარეობა და აღწერა:

საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქ.თბილისში ჭყონდიდელის ქ. 22-ში ს/კ 01.12.12.024.195. პროექტირება განხორციელდა თანახმად არქიტექტურის სამსახურის მიერ დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ბრძანება №115 (№ 1850703; 22/04/2015)-ის საფუძველზე. პროექტით გათვალისწინებულია 5000 მ$^2$ მიწის ნაკვეთზე აიგოს სამი საცხოვრებელი კორპუსი სადაც კ1=0.3=1747.2 კ2=3.8=18983.77 კ3=0.2=994.86 აქედან ორი შენობა აშენებულია და მიღება-ჩაბარების სტადიაზეა, მესამე შენობა კი

წარმოდგენილი პროექტია რომლის კ1= 617.6 კ2=5105.0 სამივე შენობას აერთიანებს შიდა სატრანსპორტო გზა სიგანით 14,0 მ და თითოეულ შენობასთან არსებული მიმდებარე ეზოები და ღია ავტოსადგომები. გენგეგმით საპროექტო შენობა მდებარეობს კომპლექსის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს. საცხოვრებელს ორი სატრანსპორტო მისასვლელი

აქვს 1)საპროექტო კომპლექსის მთავარი მისასვლელი შიდა სატრანსპორტო გზა და შიდა საგარეუბნო სატრანსპორტო გზა, გამავალი კომპლექსის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან, რომლის საშუალებითაც ვხვდებით საპროექტო შენობის მიწისქვეშა ავტოფარეხში. შენობის შიდა ეზო განთავსებულია ავტოფარეხის გადახურვის ფილაზე და სამხრეტ-დასავლეთის მხარეს, საცხოვრებელი კორპუსის გასწვრივ. საცხოვრებელ ბინას გააჩნია ორი ვერტიკალური კომუნიკაცია- ორი კიბე, ერთი სამგზავრო-სატვირთო ლიფტი და ორი საევაკუაციო ლითონის კიბე . შენობა 11 სართულიანია I სართული 0.00 ნიშნული წარმოადგენს ღია სივრცეს სადაც განთავსებულია შიდა ეზო და ღია ავტოსადგომები. აქ დახურული ფართი კიბის უჯრედები და კომერციული ფართებია საერთო ფართით 167,2მ$^2$ სადაც მოხვედრა შესაძლებეია კომპლექსის შიდა სატრანსპორტო გზიდან. დანარჩენი 10 სართული საცხოვრებელი სართულებია სადაც განთავსებულია 65 ბინა საერთო ფართით მ$^2$. მე-II სართულზე 5 საცხოვრებელი ბინდა და ერთი საოფისე ფართია საერთო ფართით 480.6 მ$^2$. მე-III და მე-IV სართულზე ექვს-ექვსი ბინა, საერთო ფართით 969,6 მ$^2$, მე-V-VI-VII-VIII-IX და X სართულზე შვიდ-შვიდი ბინა საერთო ფართით 2916,2მ$^2$ რომელტაც ყოველ სართულზე აერთიანებს ერთი ფოიე-კორიდორი და ვერტიკალური კომუნიკაციები.

ფასადები შეილესება ქვიშა-ცემენტის ხსნარით და
მოპირკეთდება 5 სმ-ის სისქის იპს-ის ფილებით, რომელიც
ამავდროულად წარმოადგენს თბოსაიზოლაციო ფენას.

არქიტექტურული პროექტი დამუშავებულ იქნა 41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების" მოთხოვნათა გათვალისწინებით.

პროექტში წარმოდგენილია კონსტრუქციული საექსპერტო დასკვნა.

## პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა:

შენობის ძირითადი სტრუქტურული სისტემა წარმოადგენს რკინა-ბეტონის კავშირებიან კარკასს.

საძირკვლები მონოლითური რ.კბ ფილა, სისქით 80სმ.

კოლონები - მონოლითური რკინა ბეტონის სხვადასხვა კვეთი 400X400, 500X500, 400X800.

რიგელები მონოლითური - რ.კბ. განივკვეთით 400X600 ფილის სისქესთან ერთად.

გადახურვის ფილა - მონოლითური რ.კბ სისქით 200მმ.

სახურავი ბრტყელი რ.კბ ფილა სისქით 200მმ მასზედ დათბუნების თბოსაიზოლაციო მასალებით მოწყობილი სისქით 200სმ.

კიბეები- რ.კბ-ის ჩანებზე მოწყობილი მოზაიკური საფეხურები.

## დაგეგმარებისთვის გამოყენებული კანონმდებლობის აღწერა:

შერეული ფუნქციის საცხოვრებელი-საზოგადოებრივი შენობისა და საპროექტო მიწის ნაკვეთის დაგეგმარებისთვის გამოყენებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება №41. ტექნიკური რეგლამენტი "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები" და ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული "ქ.თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები".

## ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთის ფართობი: 5000.0 კვ.მ

განაშენიანების ფართობი: 710,9 კვ.მ

საერთო ფართი: 5430,4 კვ.მ

მათ შორის:

საცხოვრებელი ფართობი – 3152,1 კვ.მ

საზაფხულო ფართობი – 464,6 კვ.მ

საოფისე ფართობი – 343,6 კვ.მ

ავტოფარეხის ფართობი – 477,5 კვ.მ

კიბის უჯრედის ფართობი –968,9კვ.მ

დამხმარე ფართობი – 23.7 კვ.მ

კ1= 617,6კ.მ

კ2=5105,0 კვ.მ

კ3=994,86 კვ.მ

საექსპერტო დასკვნა შეიცავს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებაში მოთხოვნილი საქართველოს მთავრობის დადგენილება №41 –„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-თან შესაბამისობას შემდეგ ნაწილებში:

1) დაკავებულობ(ებ)ის და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება;
2) კონსტრუქციის ტიპების შეფასება;
3) სიმაღლისა და ფართობის შეფასება;
4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელები შეფასება;
5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების

გამტარუნარიანობების შეფასება;
6) მისაწვდომობის შეფასება;
7) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება;
8) სახურავის ანაწყობების შეფასება;
9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება შეფასება;
10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება;
11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

## 1) დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვა:

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი ერთი მიწის დონის ქვედა და რვა მიწის დონის ზედა სართულით. პროექტში გამოყენებულია **საქმიანი (სქ), სავაჭრო (სვ), საცხოვრებელი (სც-2), სასაწყობო (სწ-2)** და **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობები, რომლებიც კლასიფიცირებულია წესების **მე-3 თავის** მიხედვით და შეესაბამება **304, 309, 310, 311** და **312 ქვეთავებს.**

**მიწის დონის ქვედა სართულზე (-3.35** ნიშნული) განთავსებულია <u>დახურული ავტოფარეხი</u> (**15** ავტომობილზე) და <u>სახანძრო ტუმბოს ოთახი</u>, საერთო ფართობით **489.7 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=22.** მათ შორის:

<u>დახურული ავტოფარეხი</u>, **311.3 ქვეთავის** მიხედვით, კლასიფიცირებულია, როგორც **სასაწყობო (სწ-2)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **375.2 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **18.6** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=21**;

<u>სახანძრო ტუმბოს ოთახი</u>, **312.1 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობას, ფართობით **14.5 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=1**.

**მიწისპირა პირველ სართულზე (0.00** ნიშნული) განთავსებულია ღია ავტოსადგომი **16** ავტომობილზე და კომერციული ფართობები, საერთო ფართობით **212.8 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=54.** მათ შორის:

ღია ავტოსადგომი, **311.3 ქვეთავის** მიხედვით, კლასიფიცირებულია, როგორც **სასაწყობო (სწ-2)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **169.5 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **18.6** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=10;**

კომერციული სივრცე, **309.1 ქვეთავის** მიხედვით, კლასიფიცირებულია, როგორც **სავაჭრო (სვ)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **121.6 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **2.8** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=44.**

**მეორე სართულის (3.30** ნიშნული) მცირე ნაწილში განთავსებულია საოფისე სივრცე, რომელიც **304.1 ქვეთავის** მიხედვით, კლასიფიცირებულია, როგორც **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **91.2 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=10.**

**II–XI სართულებზე** განთავსებულია საცხოვრებელი ბინები, რომელიც **310.4 ქვეთავის** შესაბამისად, მიეკუთვნება **საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **3859.3 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **18.6** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=241.** მათ შორის:

**II სართულზე** (**3.30** ნიშნული) 5 საცხოვრებელი ბინა, საერთო ფართობით **299.3 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=19.**

**III სართულზე** (**6.60** ნიშნული) 6 საცხოვრებელი ბინა, საერთო ფართობით **393.0 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=24.**

**IV სართულზე** (**9.90** ნიშნული) 6 საცხოვრებელი ბინა, საერთო ფართობით **395.8 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=24.**

**V სართულზე** (**13.20** ნიშნული) 7 საცხოვრებელი ბინა, საერთო ფართობით **396.3 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=25.**

**VI სართულზე** (**16.50** ნიშნული) 7 საცხოვრებელი ბინა, საერთო ფართობით **396.3** $მ^2$ და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=25.**

**VII სართულზე** (**19.80** ნიშნული) 7 საცხოვრებელი ბინა, საერთო ფართობით **395.8** $მ^2$ და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=25.**

**VIII სართულზე** (**23.10** ნიშნული) 7 საცხოვრებელი ბინა, საერთო ფართობით **396.0** $მ^2$ და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=25.**

**IX სართულზე** (**26.40** ნიშნული) 7 საცხოვრებელი ბინა, საერთო ფართობით **395.1** $მ^2$ და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=25.**

**X სართულზე** (**29.70** ნიშნული) 7 საცხოვრებელი ბინა, საერთო ფართობით **395.4** $მ^2$ და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=25.**

**XI სართულზე** (**33.00** ნიშნული) 6 საცხოვრებელი ბინა, საერთო ფართობით **396.3** $მ^2$ და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=24.**

**შემოთავაზებული დაკავებულობების ფართობების ჯამი = 6156.8** $მ^2$.
**დაკავებულობების დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი – დდ=327.**

**სართულზე** განთავსებული თითოეული დაკავებულობის დატვირთვა გამოყვანილია, ამავე დაკავებულობების **თითოეულ სათავსოზე** გამოთვლილი დაკავებულობის დატვირთვების შეჯამებით.

## 2) კონსტრუქციის ტიპების კლასიფიცირება.

საპროექტო შენობისთვის – **503 ცხრილში** შენობის დასაშვები სიმაღლისა და ფართობის; **601 ცხრილში** მოთხოვნილი ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს; **602 ცხრილში** მოთხოვნილი გარე არამზიდი კედლებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის და **721.1 ცხრილის** მიხედვით გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის ხარისხის საფუძველზე – განსაზღვრულია კონსტრუქციის **I - A ტიპი**.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით, საპროექტო შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო (გაძლიერებული ბეტონის კარკასი), **601 ცხრილის და 704.10 ქვეთავის** მიერ მოთხოვნილია **3 საათიანი** ცეცხლმედეგობის სტრუქტურული ჩარჩო, რაც სრულიად არის გათვალისწინებული წარმოდგენილ პროექტში (რკინა-ბეტონის კოლონა **500x500**).

**601 ცხრილის** მოთხოვნების მიხედვით არამზიდი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხის მიმართ მითითებულია **602 ცხრილის** მოთხოვნები, სადაც გარე კედლებისათვის ხანძარსაწინააღმდეგო **1 საათიანი** ხარისხია მოთხოვნილი.
გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი **1-**საათს უდრის და მეტია, რაც სრულიად აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მასალიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე.

იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) აკმაყოფილებს **601 ქვეთავის 601 ცხრილის** მოთხოვნებს, პროექტის მიხედვით ზემოთ აღწერილი ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი, შეადგენს 2-საათს და შეესაბამება **601 ცხრილში I- A** ტიპის კონსტრუქციისთვის მოთხოვნილ **2-**საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს.

## 3) სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

**503-ე ცხრილის** მიხედვით, **I-A** ტიპის კონსტრუქციის შენობისთვის დაშვებულია შეუზღუდავი სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი, ხოლო პროექტით წარმოდგენილია:

**სასაწყობო (სწ-2)** ჯგუფის დაკავებულობისთვის (დახურული და ღია ავტოფარეხები): სართული – **2**, სიმაღლე – **6.65 მ** და ფართობი – **544.7 მ²**;

**დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობისთვის (სახანძრო ტუმბოს ოთახი): სართული – **1**, სიმაღლე – **3.35 მ** და ფართობი – **14.5 მ²**;

**სავაჭრო (სვ)** ჯგუფის დაკავებულობისთვის (კომერციული სივრცე): სართული – **1**, სიმაღლე – **3.30 მ** და ფართობი – **121.6 მ²**;

**საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობისთვის (საოფისე სივრცე): სართული – **1**, სიმაღლე – **3.30 მ** და ფართობი – **91.2 მ²**;

**საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფის დაკავებულობისთვის (საცხოვრ. ბინები): სართული – **10**, სიმაღლე – **33.30 მ** და ფართობი – **3859.3 მ²**.

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი პროექტი **11**-სართულიანია მიწის ზემოთ, სიმაღლით – **40.20 მ**, მიწის დონის ზემოთ ბოლო იატაკის ნიშნულით **33.30 მ,** განაშენიანების ფართობით – **710.9 მ²** და საერთო ფართობით – **6245.0 მ²**.

საპროექტო შენობის სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია წესების **მე-5 თავის 503-ე ცხრილის** მიხედვით, შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე და აკმაყოფილებს განსაზღვრულ ნორმებს.

## 4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელები.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელი, გასასვლელთან მისადგომი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის დაკავებულობების დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად.
საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შენობა, ერთი მიწის დონის ქვედა და რვა მიწის დონის ზედა სართულით დახრილ რელიეფზეა განთავსებული, რომელსაც ორი მთავარი გასასვლელი აქვს მიწისპირა პირველი სართულიდან („ა – ტ“ ღერძების მხრიდან), მიწის დონის **0.00** ნიშნულზე მოწყობილ ბაქანზე, რომელიც უზრუნველყოფს მიწის დონესთან მისადგომს ამავე ნიშნულზე.

შენობაში ორი კიბის უჯრედია მოწყობილი, **1009 ქვეთავის** მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც აკავშირებს შენობის ყველა სართულს.

შენობაში ერთი ლიფტია მოწყობილი, **მე-17 თავის** მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც ემსახურება შენობის ყველა სართულს.

მიწის დონის ქვედა სართულის **-3.35** ნიშნულზე განთავსებული **დახურული ავტოსადგომი 24** ავტომობილისთვისაა გათვალისწინებული, რომლის ავტოსადგომთან მისადგომი დასაშვებია და წარმოდგენილია ცალმხრივი შესასვლელ-გასასვლელიანი **3.5** მეტრი სიგანის, მრუდხაზოვანი საავტომობილო პანდუსით, რომლის ქანობი **11,09%-**ია, რაც აკმაყოფილებს **406.9.4.1, 406.9.4.4** და **406.9.4.7 ქვეთავების** მოთხოვნებს, ხოლო ავტოსადგომში ავტომობილების მოძრაობა ცალმხრივადაა მოწყობილი და მოხვევა ხდება ავტოსადგომის საავტომობილო გზაზე, რომლის მოხვევის შიგა რადიუსი, **406.9.4.2 ქვეთავის** მიხედვით, დასაშვებია და წარმოდგენილია **3.5** მეტრი.
**1016.2 ცხრილის** მიხედვით, მიწის დონის ქვედა სართულზე (**-3.35** ნიშნ.) განთავსებული დაკავებულობისთვის, გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი <u>ავტოსაშხეფი სისტემით</u> განსაზღვრულია:

**სასაწყობო (სწ-2)** და **დამხმარე (დს)** ჯგუფების დაკავებულობებისთვის **120** მეტრი, ხოლო პროექტით წარმოდგენილია:
**სასაწყობო (სწ-2)** ჯგუფის დაკავებულობისთვის (დახურული ავტოფარეხი) – **22** მეტრი;
**დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობისთვის (სახანძრო ტუმბოს ოთახი) – **11** მეტრი.

**მიწისპირა პირველ სართულზე (0.00** ნიშნული) განთავსებული **ღია ავტოსადგომი 16**ავტომობილისთვისაა გათვალისწინებული და ასევე, წარმოდგენილია ცალმხრივი შესასვლელ-გასასვლელიანი მისადგომი სწორხაზოვანი საავტომობილო გზით, რომლის სიგანე **3.5** მეტრია, რაც აკმაყოფილებს **406.9.4.1 ქვეთავის** მოთხოვნას, ხოლო ავტოსადგომში ავტომობილების მოძრაობა ცალმხრივადაა მოწყობილი და მოხვევა ხდება ავტოსადგომის საავტომობილო გზაზე, რომლის მოხვევის შიგა რადიუსი, **406.9.4.2 ქვეთავის** მიხედვით, დასაშვებია და წარმოდგენილია **3.5** მეტრი.

პირველ სართულზე (0.00 ნიშნ.) განთავსებული კომერციული ფართობი ორ (№1 და №2) ნაწილადაა წარმოდგენილი დამოუკიდებელი გასასვლელებით: №1 ფართი– ორი და №2 ფართი–ერთი გასასვლელით. შესაბამისად, <u>№1 ფართისთვის</u>, **1016.2 ცხრილის** მიხედვით, გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი <u>ავტოსაშხეფი სისტემის გარეშე</u> განსაზღვრულია **60** მეტრი, ხოლო პროექტით წარმოდგენილია **14.4** მეტრი; <u>№2 ფართისთვის</u>, **1021.2.(2) ცხრილის** მიხედვით, გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი <u>ავტოსაშხეფი სისტემის გარეშე</u> მოთხოვნილია **23** მეტრი, ხოლო პროექტით წარმოდგენილია **9.4** მეტრი;

**II–XI სართულები,** წარმოდგენილია ორი გასასვლელთან მისადგომით, შესაბამისად, **1016.2 ცხრილის** მიხედვით, გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი, <u>ავტოსაშხეფი სისტემის გარეშე</u>, **საქმიანი (სქ)** და **საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფის დაკავებულობებისთვის განსაზღვრულია – **60** მეტრი, ხოლო პროექტით წარმოდგენილია:
**საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობისთვის **11.0** მეტრი;
**საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფის დაკავებულობისთვის **20.3** მეტრი.

საპროექტო შენობის დაკავებულობების გასასვლელისკენ სავალი მაქსიმალური მანძილი შეესაბამება **1016.2** და **1021.2.(2) ცხრილების** მოთხოვნებს.

## 5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია **1009 ქვეთავის** შესაბამისად. თითოეული გზა-კიბეების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1009.4 ქვეთავის** და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.1 ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (**7.6** მმ). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია **1.1** მეტრი სიგანის გზა-კიბე, რაც შეესაბამება მოთხოვნილს და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისათვის. კიბის საფეხურის თარაზული სიღრმის ზომა **30** სმ-ია, შვეული სიბრტყისა კი–**15** სმ. გზა-კიბეები აკმაყოფილებენ **1009.7**, **1009.8** და **1009.15 ქვეთავის** მოთხოვნებს, კიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით.

გზა-კიბეებში შემავალი და მიწისპირა სართულზე შენობიდან გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** მიხედვით და ასევე აკმაყოფილებს **716.5 ქვეთავის** მოთხოვნას, ცეცხლმედეგ კედელში ჩასმულ ღიობებთან დაკავშირებით, რადგან **1009.3.1.1 ქვეთავის** მიხედვით, გზა-კიბის ცეცხლმედეგ ზღუდეს **2**-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი მოეთხოვება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია **1018 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. დერეფნის კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე (1 სთ) მეტი – **2** საათი. დერეფნის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1018.2 ქვეთავის** და თითოეულ სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით, დერეფნების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2 ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი **(5.1 მმ).** პროექტის მიხედვით **სავაჭრო (სვ), საქმიანი (სქ)** და **საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფების დაკავებულობებისთვის გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე (**1.2 მ**) მეტი, **1.8** მეტრი

სიგანის დერეფანი, ხოლო **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობისთვის –დასაშვებ მინიმუმზე (**0.9 მ**) მეტი, **1.17** მეტრი სიგანის დერეფანი, რაც შეესაბამება და მეტია მოთხოვნილზე.

გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას.
გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2 ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი **(5.1 მმ).** გასასვლელის გზა-კარების სუფთა მინიმალური სიგანე შეადგენს **0.82** მეტრს, ხოლო არსებული პროექტით, გასასვლელების სისტემაში შემავალი ყველა გზა-კარის სუფთა თავისუფალი სიგანე შეადგენს მინიმალური **0.85** მეტრს ყველა სართულზე.

## 6) მისაწვდომობის შეფასება.

**1104.1 ქვეთავის** თანახმად, მიწის ნაკვეთზე შესასვლელი ადგილები უზრუნველყოფილია მისაწვდომი სვლაგეზებით მისაწვდომი ავტოსადგომიდან.

მე-11 თავის მოთხოვნების შესაბამისად, გეგმაზე მითითებულია მისაწვდომობის სვლაგეზი და განსაზღვრულია მისაწვდომი შესასვლელი, რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **(შშმ)** პირის მისაწვდომობას ტუალეტებთან.
პროექტში გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **(შშმ)** პირთათვის მისაწვდომი პანდუსი (ზომა 1,20 მ X 13.95 მ),, რომელიც უზრუნველყოფს მისაწვდომობას.
მიწის დონის ქვედა **(-3.35** ნიშნ.) და მიწისპირა **(0.00** ნიშნ.) სართულებზე განთავსებულ დახურულ ავტოფარეხებში **42** ავტოსადგომი სივრცეა

გათვალისწინებული, რომელთაგან, **1106.1 ცხრილის** შესაბამისად, ორი მისაწვდომია.

**1107.6.2.1.3 ქვეთავის** თანახმად, საპროექტო შენობის **მეორე–მეთერთმეტე** სართულებზე განთავსებულ **საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფის დაკავებულობებში, **65** საცხოვრებელი ერთეულიდან, ოთხი მისაწვდომი ერთეულია წარმოდგენილი, რაც შეესაბამება აღნიშნული ქვეთავის მოთხოვნებს.

## 7) გარე კედლებისადმი მოთხოვნები.

**601 ცხრილის** (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის) მოთხოვნების მიხედვით არამზიდი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხის მიმართ მითითებულია **602 ცხრილის** (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები გარე კედლებისათვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით) მოთხოვნები, სადაც გარე კედლებისათვის ხანძარსაწინააღმდეგო **1 საათიანი** ხარისხია მოთხოვნილი, ხოლო პროექტში წარმოდგენილი შენობის კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი ერთ საათს შესაბამება და მეტია.

სახურავის კონსტრუქციისა და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხი მეტია **601 ცხრილში** მოთხოვნილ ერთსაათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხზე.

**705.8 ცხრილის** თანახმად, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი დაუცველი საშხეფის გარეშე ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით:

<u>ა – ე ღერძებში</u> ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **10.54** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია შეუზღუდავად, ხოლო წარმოდგენილია **21.2 %.**

**ე – ტ ღერძებში** ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **4.65** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია **25 %**, ხოლო წარმოდგენილია **24.3 %.**

**ტ – ი ღერძებში** ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **14.90** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია შეუზღუდავად, ხოლო წარმოდგენილია **0 %.**

**ი – ა ღერძებში** ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **7.75** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია **45 %**, ხოლო წარმოდგენილია **30 %.**

**1 – 12 ღერძებში** ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **14.0** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია შეუზღუდავად, ხოლო წარმოდგენილია **45.3 %**.

**10 – 1 ღერძებში** ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **0.36** მეტრია, ღიობების ფართობი დაუშვებელია, ხოლო წარმოდგენილია **0 %**.

## 8) სახურავის ანაწყობების შეფასება.

საპროექტო შენობას აქვს ბრტყელი გადახურვა, ზედ მოწყობილი ლიფტის სამანქანო განყოფილებით და კიბის უჯრედების ამოსასვლელებით. გადახურულია ბეტონის სახურავის ბურულით, რომლის იზოლაცია მოწყობილია **1503.2 ქვეთავის** მოთხოვნების მიხედვით (ჰიდროიზოლაცია ისე უნდა მოეწყოს, რომ კედლისზედა ბურულების გადაბმების, ნესტგამტარი მასალების, პარაპეტის კედლების გადაკვეთის ადგილების და სახურავის ზედაპირზე არსებული სხვა ღიობების გავლით ნესტმა ვერ შეაღწიოს კედელსა და სახურავში.) პარაპეტის კედლები სათანადოდ არის დაფარული არაწვადი, წყალგაუმტარი მასალებით, რომელთა სისქე პარაპეტის კედლების სისქეზე ნაკლები არ არის. სახურავის წყალარინი სისტემა **1503-ე ქვეთავის** შესაბამისად არის მოწყობილი.

**1505.1 ცხრილის** („სახურავის მინიმალური ბურულების კლასიფიკაცია კონსტრუქციის ტიპებისთვის“) მიხედვით, **I-A** ტიპის კონსტრუქციის შენობებისთვის, **B** კლასის სახურავის მინიმალური ბურულებია განსაზღვრული, ხოლო პროექტში წარმოდგენილი, **A** კლასის სახურავის ანაწყობებს მიეკუთვნება. **1505.2 ქვეთავის** შესაბამისად, **A** კლასის სახურავის ანაწყობები ტესტირების დროს უძლებს ძლიერი ცეცხლის ზემოქმედებას, რომლის გამოყენებაც ნებადართულია ყველა ტიპის შენობაზე ან ნაგებობაზე.

## 9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება.

საპროექტო შენობაში თითოეული ნაწილი ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული **508 ქვეთავის** შესაბამისად. პროექტში წარმოდგენილია ოთხი შერეული დაკავებულობა: **სასაწყობო (სწ-2) სავაჭრო (სვ), საქმიანი (სქ)** და **საცხოვრებელი (სც-2)**, რომლებიც ერთმანეთისგან გამიჯნულია, როგორც 2-საათიანი ცეცხლმედეგი კედლებით (**ცხრილი 508.4**), ისე თარაზული ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს წესების **420.3 ქვეთავის** მოთხოვნებს.

**1009.3.1.2 ქვეთავის** თანახმად, ოთხი ან ოთხზე მეტი სართულის დამაკავშირებელი გასასვლელის ან გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეების შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი უნდა იყოს, არანაკლებ, 2 საათი. საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შენობის გამმიჯნავები დაკავებულობებს შორის და კიბის უჯრედისა და სავენტილაციო შახტების შემომზღუდავები 2-საათიანი ცეცხლმედეგობისაა და შეესაბამება აღნიშნული ქვეთავის მოთხოვნებს. თარაზული ანაწყობების ცეცხლმედეგობა 2-საათიანია და შეესაბამება **707.3.10 ცხრილის** მოთხოვნებს. ასევე, შენობაში არსებული ყველა შახტა, რომლებშიც განთავსებულია საცხოვრებელი ერთეულებისთვის და შენობის სხვა ნაწილებისთვის საჭირო გაყვანილობები, შემოზღუდულია

2-საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც აკმაყოფილებს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **713.4 ქვეპუნქტის** მოთხოვნებს.

**1018.1 ქვეთავის** თანახმად, ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება დერეფნებს, რომლებიც მდებარეობს საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობის საცხოვრებელ ან საძინებელ ერთეულში.

ლიფტის შახტების შემომზღუდავები 2-საათიანი ცეცხლმედეგობისაა და აკმაყოფილებს **707 ქვეთავის** მოთხოვნებს. გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეების შემომზღუდავები 2-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხისაა, რაც შეესაბამება **1009.3.1.2 ქვეთავის** მოთხოვნებს.

## 10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის **სასაწყობო (სწ-2), სავაჭრო (სვ), საქმიანი (სქ)** და **საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფის დაკავებულობებისთვის წესების მიხედვით განსაზღვრულია შემდეგი ხანძრისაგან დაცვის აქტიური სისტემები:

**903.2.10 ქვეთავის** შესაბამისად, საპროექტო შენობაში ავტოსაშხეფი სისტემა მოწყობილია მხოლოდ მიწის დონის ქვედა სართულის **-3,35** ნიშნულზე განთავსებულ დახურულ ავტოფარეხში.

**904 ქვეთავის** მიხედვით, შენობა ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემის მოწყობას არ საჭიროებს.

**905.3.1 ქვეთავის** მიხედვით, პროექტში **სც-2** ჯგუფის დაკავებულობებში გათვალისწინებულია III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემა, რომელიც შეესაბამება სახანძრო მილდგარებისადმი **905.3.1 ქვეთავის** მოთხოვნებს. სახანძრო მილდგარების სისტემა მოწყობილია კიბის უჯრედთან დერეფნებში.

**906.1 ქვეთავის** შესაბამისად, ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია ყველა სართულის დერეფანში.

**907 ქვეთავის** შესაბამისად, სახანძრო განგაშის, კვამლაღმომჩენი და ცეცხლაღმომჩენი სისტემები მოწყობილია მთელ შენობაში.

**907.2.9.1 ქვეთავის** მოთხოვნით, სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას **907.5 ქვეთავის** შესაბამისად, უნდა დააყენონ **სც-2** ჯგუფის დაკავებულობებში, სადაც ნებისმიერი საცხოვრებელი თუ საძინებელი ერთეული მდებარეობს სამი ან მეტი სართულით მაღლა ყველაზე დაბალ დონეზე მდებარე შენობის გამოსასვლელიდან, რაც პროექტში გათვალისწინებულია.

**907.2.9 და 907.2.11.2 ქვეთავების** შესაბამისად **სც-2** ჯგუფის დაკავებულობებში, ყველა საცხოვრებელ და საძინებელ ერთეულში დაყენებულია სახანძრო განგაშის, ვიზუალური განგაშის შეტყობინების და კვამლის საკონტროლო სისტემის მოწყობილობები.

**908 ქვეთავის** მიხედვით, შენობაში მოწყობილია საავარიო განგაშის სისტემები.

**909 ქვეთავის** შესაბამისად, კვამლის საკონტროლო სისტემები მოწყობილია კიბის უჯრედსა და ლიფტებში.

**907.2.11.2 ქვეთავის** მიხედვით, **სც-2** ჯგუფში კვამლზე მორეაგირე მაუწყებელის მოწყობილობები დაკავებულობის დატვირთვის მიუხედავად განთავსებულია თითოეული ცალკეული საძინებელი ფართობის ჭერზე.

## 11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალური რაოდენობა გამოთვლილია **სავაჭრო (სვ)**, **საქმიანი (სქ)** და **საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფის დაკავებულობებისთვის. გამოთვლისას მიღებული წილადი რიცხვი დამრგვალებულია მთელ რიცხვამდე და შეესაბამება **ცხრილი 1602.1-**ის მინიმალურ მოთხოვნებს. წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალურმა რაოდენობამ შეადგინა:

**<u>პირველ სართულზე:</u>**

**სავაჭრო (სვ)** ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=44):

- 2 უნიტაზი და 2 ხელსაბანი.

**<u>მეორე სართულზე:</u>**

**საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=10):

- 1 უნიტაზი და 1 ხელსაბანი;
- 1 სამომსახურეო ნიჟარა;
- 1 წყლის დასალევი დისპენსერი.

**საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფის დაკავებულობისთვის (5 ბინა, დდ=19):

- 5 უნიტაზი და 5 ხელსაბანი;
- 5 შხაპი;
- 5 სამზარეულოს ნიჟარა;
- 5 ავტომატური სარეცხის მისაერთებელი.

**<u>მესამე სართულზე:</u>**

**საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფის დაკავებულობისთვის (6 ბინა, დდ=24):

- 6 უნიტაზი და 6 ხელსაბანი;

- 6 შხაპი;
- 6 სამზარეულოს ნიჟარა;
- 6 ავტომატური სარეცხის მისაერთებელი.

<u>მეოთხე სართულზე:</u>

**საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფის დაკავებულობისთვის (6 ბინა, დდ=24):

- 6 უნიტაზი და 6 ხელსაბანი;
- 6 შხაპი;
- 6 სამზარეულოს ნიჟარა;
- 6 ავტომატური სარეცხის მისაერთებელი.

<u>მეხუთე სართულზე:</u>

**საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფის დაკავებულობისთვის (7 ბინა, დდ=25):

- 7 უნიტაზი და 7 ხელსაბანი;
- 7 შხაპი;
- 7 სამზარეულოს ნიჟარა;
- 7 ავტომატური სარეცხის მისაერთებელი.

<u>მეექვსე სართულზე:</u>

**საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფის დაკავებულობისთვის (7 ბინა, დდ=25):

- 7 უნიტაზი და 7 ხელსაბანი;
- 7 შხაპი;
- 7 სამზარეულოს ნიჟარა;
- 7 ავტომატური სარეცხის მისაერთებელი.

<u>VII სართულზე:</u>

**საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფის დაკავებულობისთვის (7 ბინა, დდ=25):

-

- 7 უნიტაზი და 7 ხელსაბანი;
- 7 შხაპი;
- 7 სამზარეულოს ნიჟარა;
- 7 ავტომატური სარეცხის მისაერთებელი.

-

<u>VIII სართულზე:</u>

**საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფის დაკავებულობისთვის (7 ბინა, დდ=25):

- 7 უნიტაზი და 7 ხელსაბანი;
- 7 შხაპი;
- 7 სამზარეულოს ნიჟარა;
- 7 ავტომატური სარეცხის მისაერთებელი.

-

<u>IX სართულზე:</u>

**საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფის დაკავებულობისთვის (7 ბინა, დდ=25):

- 7 უნიტაზი და 7 ხელსაბანი;
- 7 შხაპი;
- 7 სამზარეულოს ნიჟარა;
- 7 ავტომატური სარეცხის მისაერთებელი.

**X სართულზე:**

**საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფის დაკავებულობისთვის (7 ბინა, დდ=25):

- 7 უნიტაზი და 7 ხელსაბანი;
- 7 შხაპი;
- 7 სამზარეულოს ნიჟარა;
- 7 ავტომატური სარეცხის მისაერთებელი.
-

**XI სართულზე:**

**საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფის დაკავებულობისთვის (6 ბინა, დდ=24):

- 6 უნიტაზი და 6 ხელსაბანი;
- 6 შხაპი;
- 6 სამზარეულოს ნიჟარა;
- 6 ავტომატური სარეცხის მისაერთებელი.
-

**II – XI სართულებზე** (ჯამური მაჩვენებელი):

**საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფის დაკავებულობისთვის (65 ბინა):

- 65 უნიტაზი და 65 ხელსაბანი;
- 65 შხაპი;
- 65 სამზარეულოს ნიჟარა;
- 65 ავტომატური სარეცხის მისაერთებელი.

წარმოდგენილ პროექტში სრულადაა გათვალისწინებული **1602.1 ცხრილის** მოთხოვნები.

**დასკვნა:**

ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, ჭყონდიდელის ქუჩა №22-ში (ს/კ 01.12.12.024.195), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის არქიტექტურული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“, ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ინფორმაციას.

**საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.**

ექსპერტი: არქიტექტორი ქართლოს მაისურაძე








# დიპლომი

ПВ № 049083

ეს დიპლომი მიეცა ქართლოს შალვას ძე მაისურაძეს

მასზე, რომ იგი 1978 წელს შევიდა საქართველოს ვ.ი.ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1987 წელს დაამთავრა

ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით

არქიტექტურა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1987 წ. 4 ივლისის გადაწყვეტილებით

ქ.ბ. მაისურაძეს მიენიჭა

კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქ. თბილისი 1987 წ. „28" ×

სარეგისტრაციო № 3154

Грузинский ин.

# ДИПЛОМ

ПВ № 049083

Настоящий диплом выдан Маисурадзе Картлосу Шалвовичу

в том, что он в 1978 году поступил в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина

и в 1987 году окончил полный курс

названного

института

по специальности архитектура

Решением Государственной экзаменационной комиссии от „4" июля 1987 г.

Маисурадзе К.Ш.

присвоена квалификация архитектора

*Председатель Государственной экзаменационной комиссии*

*Ректор*

*Секретарь*

М. П.

Город Тбилиси „28" × 1987 г.

Регистрационный № 3154

Московская типография Гознака. 1986.

სახელი, გვარი : ქართლოს მაისურაძე

დაბადების თარიღი : 26.02.1959

მისამართი : ქ.თბილისი, თუმანიანის შესახვ, 4

ტელეფონი : 593 328 322

ელ.ფოსტა : kartlosm@gmail.com

---

განათლება : საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, არქიტექტურის ფაკულტეტი

პროფესიული გამოცდილება : 30 წლის მუშაობის სტაჟიინჟინერ-არქიტექტორად

პროგრამების ცოდნა : AutoCAD, Photoshop, Artlantis

---

შესრულებული ობიექტები :

- მრავალფუნქციური შენობა, წერეთლის 49-51.

---

- მრავალფუნქციური შენობა, პეტრიწის ქუჩა, 1კორპუსის მიმდებარედ.

---

- სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი სახლი ბაკურიანში, 25 მეტრიანების მიმდებარედ.

---

- კოტეჯები ბაკურიანში, 25 მეტრიანების მიმდებარედ (შეთანხმების პროცესში).

---

- მრავალფუნქციური შენობა, დიდი დიღომი, 2 მიკრორაიონი, ი.პეტრიწის და დ.თავდადებულს შორის.

---

- მწვანე აფთიაქი, თბილისი, ლესელიძის 53.

---

- მრავალფუნქციური შენობა, დიდი დიღომი, 1 მიკრორაიონი, ცენტრალური გზა, უბანი 3, ნაკვეთი.

---

- მრავალფუნქციური შენობა, დიდი დიღომი, 1 მიკრორაიონი, ცენტრალური გზა. ——ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები.